ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N29

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 28.12.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი: –ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **მალხაზი მამასახლისი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინსტრაციული და შესყიდვების სამასხურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი **-ვანდა გიორგაძე.**

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა˙ სამსახურის უფროსი - **მიხეილ სვანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 12:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს./ივანე მამფორია/

2.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხს./ივანე მამფორია/

3.ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს./მიხეილ სვანაძე/

4.ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხს./მიხეილ სვანაძე/

5.მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ.

მომხს./მიხეილ სვანაძე/

6.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს./ვანდა გიორგაძე/

7. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ.მუქედში მდებარე უძრავი ნივთის (ს.კ. 31.15.21.359) ა(ა)იპ ,,საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე''-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხს./ზვიად კაპანაძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა მცირდება 143.0 (ათასი) ლარით. რის შედეგადაც გამოყოფილი თანხების მოცულობა შემცირდა ტენდერის შედეგად წარმოშობილი ეკონომიით, სახელშეკრულებო ღირებულებამდე. შესაბამისად, შემოსულობების ნაწილში გრანტების მუხლი, ხოლო გადასახდელების ნაწილში გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა მცირდება 143,0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თ.ავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 2. (კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N124)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.'' მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 300,0 ათასი ლარით. 2019 წლისათვის, ისევე როგორც 2017-2018 წლებში, შემუშავდა 2019-2022 წლების სამოქმედო გეგმა, გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალიწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.
სკოლამდელი განათლება.
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი.
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 2 (კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.“

(დანართი: დადგენილება N125).

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველ ყოფის წესის დამტკიცების შესახებ.“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერი ქმნის ვანის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის თანამდებობის პირები და სხვა თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ასევე მოწვეული სპეციალისტები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: დადგენილება N126).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილებები 2018 წლის დამტკიცებულ პროგრამებში და წამოადგინა ეს ცვლილებები.
ყველა პროგრამას ჯანმრთელობის პროგრამის გარდა დაემატა ბინადრობის ცენზი.
მოქალაქე უნდა იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო 6 თვიდან 1 წლამდე. ასევე დაემატა ორი ახალი პროგრამა. უსახლკაროთა დახმარების და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ".

(დანართი: დადგენილება N127).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ." მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დამტკიცდა მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს დღიური მენიუ. მალე გამოცხადდება ტენდერი და სავარაუდო ფასი იქნება 2-2.10 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N27 70).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ."
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს თანხმობას საკრებულოდან, რათა გაფორმდეს ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც აწარმოებს სამუშაოებს ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში , სოფლების შუაგორა-ზედაგორას (ცივწყაროს მიმართულებით) შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაობს ღირებულებით 1 468 648,32 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N27 71).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. მუქედში მდებარე უძრავი ნივთის (ს.კ.

31.15.21.359) ა(ა)იპ ,,საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე''-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე''. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მუქედის თემში მდებარე უძრავი ნივთის (ს.კ 31.15.21.359) ა (ა)იპ ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება"-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 28

წინააღმდეგი –არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N27 72).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე